დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება

ნაწილი I: შესავალი დებულებები

მუხლი 1: ზოგადი ინფორმაცია (დებულებები)

1. უნივერსიტეტის[1] სრული დასახელებაა (ქართულ ენაზე + ინგლისური თარგმანი): შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (Davit Tvidlianis samedicino universiteti), David Tvildiani Medical University LLC
2. უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიული პირია. დაწესებულება უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი"-ს სახელით დაფუძნდა 1991 წელს. 1992/1993 სასწავლო წლიდან მან დაიწყო ფუნქციონირება აკადემიკოს დავით ტვიდლიანისა და დიმიტრი ტვილდიანის ხელმძღვანელობით. 1996 წელს დარეგისტრირდა, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, როგორც „შპს" -ს სამართლებრივი ფორმის მოქნე იურიდიული პირი. 2011 წელს უმაღლეს სამედიცინო სკოლა „აიეტს" მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი და ეწოდა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (დტსუ).
3. უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
4. უნივერსიტეტის მისამართია: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N13/ ჭიაურელის N6
5. უნივერისტეტის ელექტორონული ფოსტის მისამართი: info@dtmu.edu.ge
6. უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.
7. უნივერსიტეტის საქმიანობისას სრულად იზიარებს უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის ოთხ ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. დანართი 1)

მუხლი 2: უნივერსიტეტის დამფუძნებელი პარტნიორი

უნივერსიტეტის, 100% -აინი წილის მფლობელი, დამფუძნებელი პარტნიორია - დიმიტრი ტვილდიანი, პ/ნ 01005000648, მცხ: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N147.

მუხლი 3: უნივერსიტეტის მართვა

1. უნივერსიტეტის მმართველობის ფუნქცია ხორციელდება როგ საკითხებზე, პარტნიორის ერთპიროვნული და რიგ საკითხებზე მმართველთა ჯგუფის მიერ, კოლეგიალური გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. პარტნიორი იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

- უნივერსიტეტის საქმინობის საახებისა და მათი დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ;
- სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

[1]იხ. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 18

- ფილიალების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- ინვესტიციების შესახებ;
- ვალდებულებათა აღებისა და მათი უზრუნველყოფის შესახებ;
- პროკურის გაცემისა და გაუქმების შესახებ;
- რეორგანიზაცია ლიკვიდაციის შესახებ;
- მოგების განაწილების შესახებ;
- პრეზიდენტის დანიშვნისა და გამოწვევის, მათთან ხელშეკრულების დადებისა და შეყვეტის, მათი ანგარიშების დამტკიცების შესახებ;
- რექტორის დანიშვნის და გამოწვევის შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ;
- ახალი/დამატებითი შენატანების გზით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
- უნივერსიტეტის მიერ სხვა იურიდიული პირის დაფუძნების, წილის შეძენის ან/და გასხვისების შესახებ.
- მიიღოს საქმიანობიდან მიღებული მოგების კუთვნილი წილი;

3. პარტნიორი, მმართველთა ჯგუფის ფორმატში, უფლებამოსილია:

- კონტროლი გაუწიოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და საქმიანობას;
- გაეცნოს უნივერსიტეტის ბუღალტრულ/სააღრიცხვო საქმის მასალებს;
- მიიროს მონაწილეობა სტრატეგიული გეგმისა და გრძელვადიანი საბიუჯეტო გეგემების განხილვასა და დამტკიცებაში;
- მოიწვიოს საქმიანობის გარე შემფასებელი - აუდიტი.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს პრეზიდენტს - დიმიტრი ტვილდიანს, პ/ნ 01005000648, მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N147.
2. პრეზიდენტი - დიმიტრი ტვილდიანს, პ/ნ 01005000648, მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N147 - უფლებამოსილია იმოქმედოს უნივერსიტეტის სახელით და წარმოადგინოს იგი მესამე პირებთან ისეთ ურთიერთობებში, როგორიცაა საბანკო, საგადასახადო ურთიერთობები, უნივერსიტეტის სახელით ქონების შეძენა/გასხვისება/სხვაგვარ განკარგვასთან და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციასთან დაკავშირებული, სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მიზნით სამეწარმეო რეესტრთან დაკავშირებული, ყველა იმ ურთიერთობაში, რომელიც გადის საუნივერსიტეტო (საგანმანათლებლო) საქმიანობის ფარგლებიდან.
3. პრეზიდენტი საქმიანობას უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. მოვალეობის ჯეროვნად

შეუსრულებლობისათვის იგი პასუხიმგებელია უნივერსიტეტისათვის წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავის ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

4. პრეზიდენტის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში უნივერსიტეტის (შპს-ს) სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლებას და ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითითებული წარმომადგენლობის დამოუკიდებლად განხორციელებას.
5. (ამოღებულია. 07 მარტის 2018 წლის დამფუძნებლის გადაწყვეტილება)
6. (ამოღებულია. 07 მარტის 2018 წლის დამფუძნებლის გადაწყვეტილება)

მუხლი 5: უნივერსიტეტის მისია, მიზნები და აქტივობები

1. უნივერსიტეტის მისიაა მედიცინის დარგში მეცნიერებაზე და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა.
   მისიის შესრულებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი ხუთი პრინციპით:

- სწავლების, სწავლის, კვლევისა და მენეჯმენტის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების რეალიზება;
- სწავლებისა და კვლევებისათვის ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;
- მედიცინის დარგში ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე სასწავლებლის როლის ზრდა;
- განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანა.

2. უნივერსიტეტს შეუძლია სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამების განხორციელება უწყვეტი პროფესიული განათლების ჩათვლით
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისსა და სხვა ტიპის საინფორმაციო სერვისს
4. უნივერსიტეტი ეწევა საგამომცემლო საქმიანობას ძირთადად მისი აკადემიური საზოგადოების პედაგოგიური და საგანმანათლებლო აქტივობების გამოსაყენებლად
5. უნივერსიტეტის აქტივობებმა ხელი უნდა შეუწყონ უნივერსიტეტის მიზნების განხორციელებას
6. უნივერსიტეტი ზრუნავს ეროვნულ და საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუტებთან, სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობაზე, რათა ხელი შეუწყოს აკადემიური საზოგადოების წევრების ამ ურთიერთობაში მონაწილეობას. ურთიერთობის ფორმები და სახეები

უნივერსიტეტსა და სხვა დაწესებულებებს შორის ფორმდება მემორანდუმის ფორმით და რეგულირდება ხელშეკრულებებით.

ნაწილი II: უნივერსიტეტის ორგანიზაცია, მისი ორგანოები, აკადემიური გარემო

მუხლი 6: უნივერსიტეტის დაყოფა

1. უნივერსიტეტი დაყოფილია ფაკულტეტებად და სხვა ნაწილებად;
2. ფაკულტეტები უნივერსიტეტის ძირითადი ნაწილებია;
3. უნივერსიტეტის სხვა ნაწილები არის საგანმანათლებლო, კვლევითი, სხვა აქტივობათა განხორციელებისთვის საჭირო საინფორმაციო სერვისები, სპეციალური მიზნების მომსახურებისთვის, მათ შორის შემოქმედებითი და სპორტული აქტივობებისთვის; ემსახურება ძირითადად აკადემიური საზოგადოების წევრებს ან საჭიროა უნივერსიტეტის საქმიანობისათვის;
4. ფაკულტეტების და სხვა ნაწილების ჩამონათვალი, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურა ასახულია უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში;
5. რექტორის სამსახური უნივერსიტეტის აღმასრულებელი ორგანოა;
6. ფაკულტეტის ორგანოებს აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის სახელით თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რაც განსაზღვრულია ამ ნაწილების დებულებებითა და/ან საქმიანობის წესით;
7. უნივერსიტეტის სხვა ნაწილების ხელმძღვანელებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რაც განსაზღვრულია ამ ნაწილებისდებულებებითა და/ან საქმიანობის წესით;
8. მე-6 და მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ყველა გადაწყვეტილებები ფორმდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 7: საუნივერსიტეტო საქმიანობის მართვა

უნივერსიტეტის მართვა ხორციელდება მისი აკადემიური საზოგადოების წევრებისაგან შემდგარი აკადემიური თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით.

მუხლი 8: აკადემიური საზოგადოების წევრთა სტატუსი

1. აკადემიური საზოგადოების წევრებს აქვთ უფლება:

   ა) ნომინირებული, არჩეული და/ან დანიშნული იყვნენ უნივერსიტეტის და/ან ფაკულტეტის საბჭოების, სამსახურების, კომიტეტების შემადგენლობაში;

   ბ) იყვნენ ნომინირებული და დანიშნული რექტორის და დეკანის თანამდებობაზე წინამდებარე დოკუმენტის და/ან ფაკულტეტის წესდების მიხედვით;

გ) იყვნენ წევრები და/ან მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მმართველი ჯგუფის ან აკადემიური საბჭოს შეხვედრებში (სხდომა შეიძლება იყოსღია ან დახურული);

დ) მიიღონ ინფორმაცია (გაეცნონ) მმართველი ჯგუფის და აკადემიური საბჭოს ანგარიშებს, მათ მიერ მიღებული რეზოლუციების ჩათვლით;

ე) აკადემიური საზოგადოების შეხვედრებისთვის მიიღონ ფართი (გამოეყოთ ადგილი);

ვ) აკადემიური თვითმმართველობის ორგანოების მისამართით გამოთქვან მოსაზრებები, კომენტარები მათ გადაწყვეტილებებზე და უფლება აქვთ მიიღონ დასაბუთებული პასუხი;

2. უნივერსიტეტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო, პროფესიული, სტუდენტურ გაერთიანებათა აქტივობებს და სხვა დაინტერესებულ ასოციაციებს, რომლებიც აერთიანებს აკადემიური საზოგადოების წევრებს და რომლის აქტივობებს წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის მიზნების განხორციელებაში;
3. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური საზოგადოების წევრთა სოციალურ საჭიროებებზე, მათ შორის წევრებზე, რომელთაც აქვთ ჯანმრთელობის ხანგრძლივი ან სერიოზული პრობლემა და ცდილობს მისი სამუშაო დატვირთვის გონივრულ დაბალანსებას;
4. აკადემიური საზოგადოების წევრები ვალდებულნი არიან იცნობდნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების შიდა რეგულაციებსა და/ან იმ სტრუქტურულ ერთეულთა დებულებებს, სადაც ისინი მუშაობენ;
5. აკადემიური საზოგადოების წევრები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ უნივერსიტეტის რეპუტაციას;
6. უნივერსიტეტის კარგი რეპუტაციის შენარჩუნებაზე საქმიანობის საწინააღდეგოდ მოიაზრება:

   ა) მათი თანამდებობრივი პოზიციის ან აკადემიური საზოგადოების წევრებთან კავშირში გაცნობიერებულად, ზოგადად მიუღებელი წესით დაუშვას დისკრიმინაცია სხვა პირის ან პირების მიმართ;

   ბ) განმეორებით უგულებელყოფს უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის მიღებულ წესებს;

   გ) შემჩნეული იქნება უნივერსიტეტის საწინააღმდეგო არაკეთილსინდისიერ (თაღლითურ) საქმიანობაში ან მისი ნაწილის, ორგანოების, სტუდენტების ან დასაქმებულთა მიმართ;

   დ) ბოროტად გამოიყენებს ან ზოგადად მიუღებელი წესით მოეპყრობა სხვა პირის სწავლის, კვლევის და სხვა შედეგებს უნივერსიტეტში საკუთარი აკადემიური აქტივობების ან თანამდებობრივი სარგებლისთვის;

ე) შელახავს უნივერსიტეტის უფლებებს, ან გამოიყენებს პერსონალური სარგებლობისთვის;

ვ) გაცნობიერებულად გაავრცელებს ყალბ ინფორმაციას უნივერსიტეტზე ან მის ნაწილებზე, ორგანოებზე, სტუდენტებს, დასაქმებულებსა ან აკადემიური საზოგადოების წევრზე;

7. აკადემიური საზოგადოების წევრები ყოველდღიურად უნდა ასრულებდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობებს, როგორც აკადემიური თვითმმართველობის ორგანოები ან როგორც ამ ორგანოთა წევრები;
8. აკადემიური საზოგადოების წევრებს ერთდროულად შეუძლიათ შემდეგიდან მხოლოდ ერთერთი ფუნქციის შესრულება: რექტორი, ვიცე-რექტორი, დეკანი, კანცლერი.

მუხლი 9: უნივერსიტეტის ორგანოთა საქმიანობა

1. უნივერსიტეტის ნაწილების საქმიანობას განსაზღვრავს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, წინამდებარე დოკუმენტი, სხვა შიდა მარეგულირებელი წესები, ასევე ფაკულტეტის წესდება და უნივერსიტეტის სხვა ნაწილების საქმიანობის შესახებ დებულებები და წესდებები.
2. უნივერსიტეტის ფაკულტეტები ან სხვა ნაწილები იმართება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით და კანონქვემდებარე აქტებით, წინამდებარე დოკუმენტით, ფაკულტეტის სხვა შიდა რეგულაციებით, ან უნივერსიტეტის ნაწილის შემთხვევაში სხვა რელევანტური რეგულაციებით.

მუხლი 10: უნივერსიტეტის „მმართველი ჯგუფი“

1. უნივერსიტეტის „მმართველი ჯგუფი“ და მისი წევრები თავის საქმიანობით პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წინაშე. თავისი საქმიანობის განხორციელებისას ისინი არ არიან შეზღუდული აკადემიურ ორგანოთა დირექტივებით ან რეზოლუციებით, არამედ მხოლოდ თავისი რწმენით, რაც მათ ავალდებულებთ იზრუნონ მთლიანად უნივერსიტეტის ინტერესებზე. მმართველი ჯგუფის წევრმა ფაკულტეტის ან აკადემიური საზოგადოების წევრს უნდა გასცეს პასუხი კითხვებზე, რაც ეხება მმართველი ჯგუფის მიერ განხილულ თემებს ან გადაწყვეტილებებს.
2. „მმართველი ჯგუფი“ უნივერსიტეტის ყველაზე მაღალი წარმომადგენლობის ორგანოა და მასში შედიან დამფუძნებელი, პრეზიდენტი, რექტორი, ვიცე-რექტორები და კანცლერი.
3. პრეზიდენტი იწვევს „მმართველი ჯგუფის“ შეხვედრებს და მოქმედებს მისი ინტერესების შესაბამისად.
4. „მმართველი ჯგუფის“ შეხვედრაზე ქვორუმი არის თუ მას ესწრება წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას მხარს უჭერს

ყველა დამსწრე წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა და ის შეესაბამება საქართველოს კანონს განათლების შესახებ (სხვა საკანონმდებლო აქტებს და ბრძანებებს);

5. „მმართველი ჯგუფის“ შეხვედრათა განხილვის თემებია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები, ბიუჯეტის გეგმები, რეგულარული ანგარიშები, ფუნდამენტური ხასიათის და/ან სხვა დოკუმენტები მნიშვნელოვანი მთლიანად უნივერსიტეტისთვის.
6. რექტორი „მმართველი ჯგუფის“ წინაშე წარადგენს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებს.
7. „მმართველ ჯგუფს“ შეუძლია მხარი დაუჭიროს ჯგუფის შეხვედრაზე წარმოდგენილ წინადადებებს ან მიიღოს სხვა (შეცვალოს, შეაჩეროს, დააბრუნოს გადასამუშვებლად და/ან სხვა) გადაწყვეტილება.

მუხლი 11: „მმართველი ჯგუფის“ ურთიერთობა სხვა ორგანოებთან და პირებთან

1. „მმართველ ჯგუფს“ შეიძლება დასჭირდეს საუნივერსიტეტო ორგანოს, ფაკულტეტის ან სხვა სტრუქტურის მოსაზრებების მოსმენა.
2. „მმართველ ჯგუფს“ აქვს უფლება ინფორმირებული იყოს რექტორის საბჭოს ან აკადემიური საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.
3. თუ „მმართველი ჯგუფი“ იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევების ან და სამეცნიერო პროცესების შესახებ იგი წინასწარ ითხოვს აკადემიური საბჭოს, დეკანის მოსაზრებებს.

მუხლი 12: რექტორი

1. რექტორი უნივერსიტეტის აღმასრულებელი ხელმძღვანელია.
2. მას თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
3. რექტორი არის უნივერსიტეტის წარმომადგენელი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებს, ინსტიტუციებსა და პირებთან (იხ. მუხლი 4, მე-5 და მე-6 პუნქტები), მართავს და მოქმედებს მისი სახელით.
4. დებს, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ, ხელშეკრულებებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის სახელით.
5. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ამტკიცებს და გამოსცემს ბრძანებებსა და აქტებს აკადემიური და რექტორის საბჭოს, სხვა ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.
6. გეგმავს ბიუჯეტს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად და წარადგენს მმართველი ჯგუფის და დამფუძნებლის წინაშე დამტკიცების მიზნით.
7. რექტორი არის პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრი.

მუხლი 13: ვიცე-რექტორები

1. რექტორს ჩვეულებრივ ჰყავს ვიცე-რექტორები: სასწავლო დარგში, სტრატეგიული მართვის და განვითარების დარგში და სამეცნიერო დარგში.
2. ვიცე-რექტორებს ნიშნავს რექტორი უნივერსიტეტის დამფუძნებელთან შეთანხმებით.
3. ვიცე-რექტორები არიან პროფესორები - უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრები.

მუხლი 14: აკადემიური და რექტორის საბჭო

1. აკადემიური საბჭო - დტსუ-ს პირველადი კოლეგიალური ორგანო სამეცნიერო და პედაგოგიური აქტივობების თვალსაზრისით, რომელიც განიხილავს სტრატეგიულ გეგმას, აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან კონტექსტში, ამტკიცებს ფაკულტეტზე განსახორციელებელ სასწავლო პროგრამებს. ჩართულია პროფესორების არჩევის პროცედურებსა და ნომინაციაში უფლებამოსილების ფარგლებში. მისი საქმიანობა ეფუძნება აკადემიურ თავისუფლებას განსაზღვრულს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით. თავისი საქმიანობით ცდილობს უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპების დამკვიდრებას. აკადემიური იურისდიქცია და სხვა საკითხები განმარტებულია შიდა რეგულაციებით;
2. რექტორის საბჭო (შემდგომში - „საბჭო“) - დტსუ-ს უმაღლესი ადმინისტრაციული მართვის ორგანოა, რომელშიც წარმოდგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრები (პედაგოგი, სტუდენტი) და უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული სტრუქტურების ხელმძღვანელები. იგი განიხილავს რექტორის ქვემდებარე შიდა რეგულაციებს, ბიუჯეტირების გეგმებს, სხვა დოკუმენტებს, ანგარიშებს და განცხადებებს; განიხილავს უნივერსიტეტის საორგანიზაციო ერთეულების ჩამოყალიბებებს საკითხებს, ამტკიცებს წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებს; საბჭოს იურისდიქცია და სხვა საკითხები განმარტებულია შიდა რეგულაციებით;

მუხლი 15: რექტორის საბჭოს თანამშრომლობა აკადემიურ ავტორიტეტებთან და სხვა პირებთან

- საბჭოს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი პირი სხდომაზე დასასწრებად, თუ ეს აუცილებელი იქნება საკითხის გასარკვევად. საბჭომ შეიძლება მოითხვოს აკადემიური საზოგადოების ან სხვა საკითხთან დაკავშირებული სამსახურის/ერთეულის აზრი;

- რექტორის საბჭოს უნდა ეცნობოს და დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული ან დეკანის საკონსულტაციო გადაწყვეტილებები;
- საბჭოსა და დეკანის მოსაზრებებს შორის კონფლიტის შემთხვევაში საბჭომ უნდა გადახედოს საკითხს დეკანთან ერთად. საბჭომ შესაძლებელია დაარსოს რექტორის საბჭოს საგანგებო კომიტეტი შესაბამისი საკითხებისთვის;

მუხლი 16: რექტორის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო

1. რექტორი უფლებამოსილია შექმნას საერთაშორის მრჩეველთა საბჭო;
2. საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო - მრჩეველი ორგანოა, რომელიც ეხმარება რექტორს და ხელს უწყობს დტსუ-ის საერთაშორისო ცნობადობის ზრდას, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. საბჭო შედგება დტსუ-ს კურსდამთვრებულებისგან, ასევე დარგის (სამედიცინო განათლება და კვლევა) თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან. საბჭო იკრიბება რეგულარულად (ყოველწლიურად) თბილისში დტსუ-ში ან ტელეკონფერენციით; წლის განმავლობაში კონსულტაციები ტარდება ინტერნეტის მეშვეობით.

მუხლი 17: კანცლერი

1. კანცლერი - დტსუ-ს ადმინისტრაციული მმართველი სამეურნეო, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროებში, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულების საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობის რეგულირებას უფლებამოსილების ფარგლებში, მესამე პირებთან წარმომადგენლობის გარეშე.
2. კანცლერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. კანცლერი თავისი საქმიანობის შესრულებისას ურთიერთთანამშრომლობს ვიცე-რექტორებთან, ეკონომიკურ მენეჯმენტთან დაკავშირებით და მათი უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი მენეჯმენტის შიდა ადმინისტრირების საკითხებზე.

მუხლი 18: ფაკულტეტთა და სხვა საუნივერსიტეტო ნაწილების მართვა

1. დეკანმა თავის ქმედებებთან დაკავშირებით ანგარიში უნდა წარუდგინოს რექტორს; დეკანის უფლებამოსილებები და ვალდებულებები გაწერილია ფაკულტეტის წესდებაში. სხვა სამსახურების ხელმძღვანელები ექვემდებარებიან რექტორს.
2. უნივერსიტეტის სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად დეკანი და სხვა სამსახურების ხელმძღვანელები, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსური რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებით.
3. როცა ფაკულტეტის ან სხვა სამსახურის ქმედებასა და გადაწყვეტილებაში იკვეთება საკანონმდებლო ან უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი კანონების დარღვევა, პასუხისმგებელმა პირმა ახსნა-განმარტებით უნდა მიმართს რექოტრს; ასეთის

(ახსნა-განმარტება) არ გამოყენების ან განმეორების შემთხვევაში რექტორი იღებს გადაწყვეტილებას თავისი უფლებამოსილებით.

მუხლი 19: საინფორმაციო სერვისების მიწოდების ცენტრები

ბიბლიოთეკები, სასწავლო ოთახები, კომპიუტერული ცენტრები და სხვა საინფორმაციო სერვისების მიმწოდებლები საქმიანობენ უნივერსიტეტის შიდა წესების და რეგულაციების შესაბამისად და მომსახურება ხმარდება აკადემიური საზოგადოების საჭიროებებს.

ნაწილი III: სასწავლო პროგრამები, სწავლა და სტუდენტები

მუხლი 20: სასწავლო პროგრამა

1. სასწავლო პროგრამები შეიძლება განხორციელებელული იყოს
   ა) დამოუკიდებლად ერთი ფაკულტეტის მიერ;
   ბ) სხვა რელევანტურ (პროგრამასთან) ინსტიტუციებთან (კლინიკები, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები)ერთად. ერთობლივი პროექტის სამუშაო ვერსიას შეიმუშავებს დეკანი და განხილვისთვის წარუდგენს რექტორს აკადემიურ საბჭოზე განხილვის შემდგომ;
   გ) სასწავლო პროგრამა შეიძლება იყოს განხორციელებული საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციასთან ერთად; ერთობლივი პროექტის სამუშაო ვერსიას შეიმუშავებს დეკანი და განხილვისთვის წარუდგენს რექტორს აკადემიურ საბჭოზე განხილვის შემდგომ;
2. სასწავლო პროგრამა აღწერილია სასწავლო გეგმებში (კურიკულუმი);
3. სასწავლო პროგრამის დეტალები ასევე სწავლების, სწავლისა და შეფასების საკითხები განმარტებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის შიდა რეგულაციებში ;
4. პროგრამაში (პირველი პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული) ჩართვის შემდგომ სტუდენტი ვადებულია გაეცნოს ფაკულტეტის შიდა რეგულაციის წესებს;
5. სასწავლო პროგრამათა მომზადებისა და იმპლემენტაციისთვის აუცილებელია რესურსების ეფექტურ გამოყენებასთან ერთად, საგანმანათლებლო აქტივობათა ოპტიმალური ინტეგრაციის დონის გათვალისწინება;

მუხლი 21: სასწავლო პროგრამების იმპლემენტაციის უზრუნველყოფა და ხელმძღვანელობა

1. სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციაზე და სათანადო მიწოდებაზე, ასევე მის შეფასებასა და განვითრებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტი.
2. საჭირო შემთხვევაში იქმნება კურიკულუმის (ახალი) შემუშავების ჯგუფი, რომელიც პროგრამის იმპლემენტაციის ეტაპზე შეიძლება ტრანსფორმირდეს კურიკულუმის მართვის ჯგუფში.

3. დეკანს შეუძლია დააფუძნოს ფაკულტეტის საბჭო, რომლის უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის საკითხები გაწერილი იქნება ფაკულტეტის წესდებასა და ფაკულტეტის საბჭოს დებულებაში.
4. ფაკულტეტზე არსებული პროგრამების, მისი სასწავლო მოდულებისა და კურსებზე მეცადინეობების ცხრილის შემუშავებაზე პასუხისმგებელია სასწავლო დეპარტამენტი, რომელიც სასწავლო კურსებს/მოდულებზე პასუხისმგებელ პედაგოგებთან კომუნიკაციით ათანხმებს ცხრილის სამუშო ვერსიას, რომელსაც ამტკიცებს რექტორი (რექტორის საბჭოზე საკითხის განხილვის გზით).
5. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობას (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ცხრილის, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების/გეგმების განხორციელების შესაძლებლობათა მიხედვით) კოორდინირებასა და კონტროლს უწევს დეკანატი, დეკანის ხელმძღვანელობით.
6. პროგრამაზე ჩარიცხვის და სწავლის პირობები ფორმდება შესაბამისი კონტრაქტით.

მუხლი 22: უნივერსიტეტში სწავლა

უნივერსიტეტში სწავლის წესები მოიცავს სტუდენტების უფლებებსა და ვალდებულებებს და პირველ ეტაპზე პროცედურის გაცნობის წესებს; სტუდენტების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით პროცედურების განხილვა ასახული უნდა იყოს უნივერსიტეტში სწავლის და გამოცდების შესახებ წესებში („მარეგულირებელი დოკუმენტი“); უფრო დაწვრილებით დეტალები ფაკულტეტზე სწავლასთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის განმარტებული უნდა იყოს დიპლომირებული მედიკოსის სწავლის და გამოცდების შესახებ წესებსა და სადოქტორო პროგრამაში სწავლის წესებში, რაც ფაკულტეტის შიდა რეგულაციას წარმოადგენს.

მუხლი 23: სწავლის პირობები უცხოელებისთვის

უცხოელებმა ფაკულტეტზე უნდა ისწავლონ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის წესების შესაბამისად.

მუხლი 24: სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა

1. სტუდენტთა გაცვლის მართვის პრინციპები და წესები უნდა უზრუნველყოფილ იქნას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც შედგენილია უმაღლესი განათლების კანონის თანახმად (უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-2 მუხლის ჰ[44] და ჰ[48] ქვეპუნქტები; 49[1]-ე; 49[2]-ე; 52-ე და 52[1]-ე მუხლები) და მხარეების ურთიერთთანამშორმლობისა და მემორანდუმების საფუძველზე.
2. დეკანთან კონსულტაციის შემდეგ რექტორმა უნდა წარადგინოს სტუდენტის შერჩევის დეტალური პირობები. პირობები უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 25: სტუდენტთა წახალისება და შეღავათები

1. უნივერსიტეტმა უნდა წაახალისოს სტუდენტები, მიანიჭოს ჯილდო ან მატერიალური საჩუქარი.
2. გრანტების (სტიპენდიები, ფულადი შეღავათები) მინიჭების წესები, სააპლიკაციო პროცედურა და განხილვის პროცედურები განმარტებულია დტსუ-ის შესაბამის დებულებებსა და შიდა რეგულაციის წესებში.

მუხლი 26: დისციპლინარული კომისია

1. განსაზღვრული (მინიმუმ 2 წლის) ვადით შექმნილი ორგანო, რომელიც იხილავს დისციპლინური გადაცდომის საკითხებს;
2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური და რექტორის საბჭოს შემადგენლობიდან.
3. დისციპლინური კომისიის წევრების ნახევარს წარმოადგენენ სტუდენტები - კერძოდ მე-2 - მე-6 კურსის თითო წარმომადგენელი და SYSSA-ს გამგეობის ან მის მიერ დასახელებული საზოგადოების წევრი სტუდენტი
4. კომისიის დანარჩენი წევრები არიან - სამი წევრი ადმინისტრაციიდან, სამი წევრი აკადემიური შემადგენლობიდან.
5. დისციპლინარული კომისია ითვალისწინებს სტუდენტების აზრს და გადაწყვეტილებისთვის წინადადებებს უნდა წარუდგინოს რექტორს.

მუხლი 27: სწავლის გადასახადი

უზრუნველყოფილი და ასახულია დტსუ-ის სტუდენტთა რეგულაციებითა და სტუდენტთა ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

მუხლი 28: სტუდენტთა აკომოდაცია და მომსახურება

მომსახურების წესი და პირობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში განთავსებისა და ქცევის წესების შესახებ დოკუმენტითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

მუხლი 29: სტუდენტებსა და აპლიკანტებზე დოკუმენტების გაცემა

1. წერილობითი სახის დოკუმენტები გადაეცემა საკუთრივ სტუდენტს ფაკულტეტზე. სტუდენტმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს დოკუმენტების მიღება.
2. თუ სტუდენტი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით, დოკუმენტები შეიძლება გადაეცეს წარმომადგენელს, საამისოდ დადგენილი ოფიციალური დოკუემნტის წარდგენის შემთხვევაში.
3. თუ რამე მიზეზით, დოკუმენტის მიწოდება ვერ ხერხდება, წერილობითი დოკუმენტები ინახება დეკანატში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული საარქივო წესების დაცვით.

4. ზემო აღნიშნული ეხება ასევე აპლიკანტებს, რომლებმაც სწავლის მიზნით მიმართეს უნივერსიტეტს და მოწოდებული აქვთ საბუთების ორიგინალები, რომლებიც უშუალოდ არ არის უნივერსიტეტში სწავლის ნაწილი.

მუხლი 30: უწყვეტი პროფესიული განათლება

1. უწყვეტი პროფესიული განათლება ეფუძნება ინდივიდუალურ კონტრაქტს.
2. უწყვეტი პროფესიული განათლებისთვის პროგრამათა მომზადება, დამტკიცება და იმპლემენტაცია, აპლიკანტთა სელექცია და გადასახადის დადგენა განისაზღვრება ქართული კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციის საფუძველზე.

მუხლი 31: საერთაშორისოდ აღიარებული კურსები

1. უნივერსიტეტს შეუძლია საერთაშორისოდ აღიარებული კურსების, პროგრამების, საზაფხულო სკოლების ორგანიზება, რომლის შემუშავება შესაძლებელია რექტორის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს აზრის მოსმენითა და შესაბამისი ექსპერტული რესურსის არსებობის საფუძველზე.
2. სამედიცინო განათლების ცენტრის გეგმას, საერთაშორისოდ აღიარებული კურსის ორგანიზების თაობაზე, ამტკიცებს რექტორი.
3. ასეთი კურსების დამთავრების შემდეგ პირი მიიღებს სერთიფიკატს ან საერთაშორისოდ აღიარებულ ხარისხს გაცემულს უნივერსიტეტის მიერ.
4. მინიმალური მოთხოვნები საერთაშორისოდ აღიარებულ კურსში სწავლის პროცესზე, მის ფორმალურ ელემენტებს, შეფასებას, აპლიკანტთა კურსზე დაშვებას, გადასახადს კურსისთვის, სერტიფიკატების და ხარისხის გაცემაზე ნებართვას იძლევა რექტორი.
5. საერთაშორისოდ აღიარებული კურსების მიწოდება ხორცილედება კონტრაქტის საფუძველზე.

ნაწილი IV: აკადემიური შტატი და სხვა დასაქმებულები

მუხლი 32: აკადემიური შტატის შრომითი ურთიერთობები

1. პროფესორები ჩვეულებრივ საქმდებიან შესაბამისი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტში მოქედი პერსონალის მიღების წესით განუსაზღვრელი ვადითა და პირობებით;
2. აკადემიური შტატისთვის სამუშო დავალებები არ უნდა ზღუდავდეს აკადემიურ თვისუფლებას ან აკადემიურ უფლებებს.

მუხლი 33: არჩევნების პროცედურა

1. აკადემიური შტატის პოზიციებზე არჩევნების პროცედურა იმართება არჩევნების შესახებ წესით, რომელიც ტარდება საქართველოს კანომდებლობისა და მის საფუძველზე არსებული შიდა რეგულაციის მიხედვით.

2. არჩევნების პროცედურა შეიძლება იყოს გამოყენებული სხვა დასაქმებულთათვისაც.

მუხლი 34: ანაზღაურება

1. აკადემიური შტატის ანაზღაურება განისაზღვრება პედაგოგთა აკადემიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ უნივერსიტეტის წესისა და ხელშეკრულების საფუძველზე.

2. სხვა დასაქმებულთა ანაზღაურება ფორმდება ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 35: არჩეული აკადემიური შტატის სამუშაო დატვირთვა

დტსუ-ს პედაგოგიური შემადგენლობის სტრუქტურა, დატვირთვის დროით ნორმებს და პედაგოგიური დატვირთვის დაგეგმვის და კონტროლის წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის საფუძველზე.

მუხლი 36: მოწვეული (visiting) პროფესორი

1. მასწავლებლები საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებიდან, რომელთა პოზიცია შეესაბამება პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის პოზიციას იწოდებიან „დტსუ-ს მოწვეულ (ვიზითინგ) პროფესორებად“ რექტორის გადაწყვეტილებით.

2. ვიზითინგ-პროფესორებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც დტსუ-ს აკადემიური საზოგადოების წევრებს, გარდა აკადემიურ საბჭოში არჩევნებისა და ხმის მიცემის უფლებისა.

ნაწილი V: სტრატეგიული გეგმა, ყოველწლიური ანგარიშები და აქტივობათა შეფასება

მუხლი 37: სტრატეგიული გეგმის მომზადება და მისი იმპლემენტაცია

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევითი და განმავითარებელი ან სხვა კრეატიული აქტივობების შესახებ სტრატეგიული გეგმა არის ფუნდამენტური საპროგრამო დოკუმენტი და ერთერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაბალანსებულ გადანაწილებას აკრედიტებულ პროგრამებზე, საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა აქტივობებზე.

2. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, ასევე საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებზე გამიზნული ერთეულების განვითარების კონცეფციებს.

3. ფაკულტეტის გრძელვადიანი განვითარების მომზადება ასევე ეფუძნება უნივერსიტეტის, როგორც მთლიანის განვითარების ინტერესს. ფაკულტეტები ასევე სხვა (აღნიშნული პარაგრაფა 2-ში) ერთეულები უნდა მონაწილეობდნენ და გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის

შესახებ აკადემიურ საბჭოსა და მმართველი საბჭოს სხდომებზე მათი განხილვის და დამტკიცების შემდეგ.

4. სტრატეგიული გეგმა არის საფუძველი უნივერსიტეტში შიდა ორგანიზაციული ცვლილებების დაგეგმვის, ახალი სასწავლო პროგრამების მომზადებისთვის, და ა.შ.

მუხლი 38: ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და მათი იმპლემენტაცია

1. აქტივობების შესახებ და ეკონომიკური მენეჯმენტის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები მზადდება უნივერსიტეტში ფაკულტეტებსა და სხვა სამსახურში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

2. აქტივობათა შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს წარადგენს რექტორი მმართველი ჯგუფის სხდომაზე ჯგუფისა და დამფუძვნებლის წინაშე; მან (რექტორი) ასევე შეიძლება დაავალოს კანცლერს ეკონომიკური მენეჯმენტის წლიური ანგარიშის კომენტირება.

3. ყოველწლიური ანგარიშის მონაცემები იქნება იმპლემენტირებული, ხოლო სტრატეგიული გეგმა განახლებული და დაზუსტებული.

მუხლი 39: აქტივობათა შინაარსი და შეფასება

1. უნივერსიტეტის აქტივობათა შეფასება მოიცავს ორგანიზაციის ეფექტურობის, პედაგოგიური, საგანმანათლებლო და კვლევითი მუშაობის ასევე სხვა რესურსების გამოყენების სტანდარტთა რეგულარულ შეფასებას.

2. აქტივობათა შეფასება შეიძლება იყოს ჩატარებული ფაკულტეტების და სხვა ნაწილების, აკადემიური საზოგადოების წევრების, მთლიანად უნივერსიტეტის კონტექსტში.

მუხლი 40: აქტივობათა შეფასების წესები

1. შეფასებისთვის წყარო დოკუმენტებია უნივერსიტეტის აქტივობათა შესახებ მონაცემები, გამოყენებული რესურებისა და მიღებული პროდუქტების ჩათვლით, რომლებიც სისტემატიურად გროვდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. უნივერსიტეტის ყველა ნაწილის (ერთეულის, სტრუქტურის) მოვალეობაა სრული ინფორმაცია მიაწოდონ მას. აქტივობათა შეფასების სხვა წყაროა სტუდენტთა გამოკითხვის მონაცემები; მისი წესები დადგენილია შიდა რეგულაციით.

2. აქტივობათა შეფასებისთვის დოკუმენტები ანალიზდება და დასკვნების სამუშაო ვერსია მზადდება ხარისხის უზრუნველყოფის (ხუ) ჯგუფის მიერ, რომელიც შექმნილია კონკრეტული ანგარიშისთვის. ხუ-ის ჯგუფის ერთი წევრი მაინც არ უნდა იყოს უნივერსიტეტში დასაქმებული; უნივერსიტეტის არც ერთ ნაწილს (სტრუქტურას, ერთეულს) არ შეიძლება ჰყავდეს 1-ზე მეტი წარმომადგენელი ხუ-ის

ჯგუფში და ეს წევრი არ უნდა მონაწილეობდეს უნივერსიტეტის იმ ნაწილის შეფასებაში, რომელსაც ის განეკუთვნება.

3. უნივერსიტეტის ფაკულტეტის ან სხვა საგანმანათლებლო ან კვლევით აქტივობებში ჩართული სტრუქტურის, ნაწილის შეფასება 5 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოხდეს; წინა შეფასების შედეგები უნდა იქნას მიღებული მხედველობაში შემდგომი ანგარიშის დაგეგმვისას.

მუხლი 41: აქტივობათა შეფასების შედეგები

აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და რექტორის საბჭოზე დამტკიცების შემდგომ, შეფასების შედეგები ქვეყნდება. შედეგები გამოიყენება სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განახლების მიზნით.

ნაწილი VI: ეკონომიკური საკითხები

მუხლი 42: ბიუჯეტი და საპროგნოზო ბიუჯეტი

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის სამუშაო ვერსია უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის შემოსავლების განაწილების გრძელვადიან წესებს, რასაც შეიმუშავებს რექტორი რექტორის საბჭოსა და მმართველ ჯგუფთან შეთანხმებითა და მათი აზრის მოსმენის შემდგომ.

2. ბიუჯეტის პროექტის განხილვის (მიღებისა და დამტკიცების) პროცესში სტრატეგიული მართვის ჯგუფი, მმართველ ჯგუფთან შეთანხმებით, განმარტავს შემოსავლების განაწილების წესებს, სტრატეგიული გეგმის კონტექსტში, მოცემული წლისთვის და განსაზღვრავს მნიშვნელოვან ინდიკატორებს

3. უნივერსიტეტის შემოსავლების განაწილებისას ჩვეულებრივ გასათვალისწინებელია შემდეგი მონაცემები: საგანმანათლებლო აქტივობათა მიღწეული შედეგები, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, აკრედიტირებულ პროგრამათა ფინანსური ხარჯი, უწყვეტი პროფესიული მზადების აქტივობათა ხარჯი, სტუდენტთა საერთო რაოდენობა. სამეცნიერო აქტივობათა შედეგები, სამეცნიერო მუშაობის ხარჯები.

4. ფაკულტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილი თუ რექტორი ასე გადაწყვეტს.

5. ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე (ჩვეულებრივ კალენდარული წლის თებერვალი) ფინანსური მენეჯმენტი შეიძლება იმართებოდეს წინასწარი ბიუჯეტით, მაგ: თვიური ხარჯები არ აღემატება წინა კალენდარული წლის ბიუჯეტის 1/12-ს. ბიუჯეტის განაწილება და ხარჯები წინასწარი ბიუჯეტის ფარგლებში ჩაითვლება უნივერსიტეტის ბიუჯეტში მისი დამტკიცების შემდგომ.

მუხლი 43: ეკონომიკური მენეჯმენტის კონტროლი

1. ეკონომიკური მენეჯმენტის კონტროლს ახორციელებს რექტორი, პერიოდულად ან საჭიროებისას; ან პირები რექტორის ან დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. რექტორს შეუძლია სპეციალური სამსახურის დაფუძნება აღნიშული კონტროლის განსახორციელებლად.

2. კონტროლისა და ეკონომიკური მენეჯმენტისთვის ფაკულტეტსა და უნივერსიტეტის სხვა ნაწილებს (სტრუქტურა, სამსახური, ა. შ.) ევალებათ საჭირო დოკუმენტების სრულად მიწოდება.

3. კონტროლის შედეგები შეიძლება იქნას გამოყენებული მენეჯმენტისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მომზადებისთვის.

მუხლი 44: ეკონომიკური მენეჯმენტის და საკუთრების ადმინისტრირების მართვის რეგულაციები

ეკონომიკური მენეჯმენტი და საკუთრების ადმინისტრირების დეტალური წესები მოწოდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში

ნაწილი VII:დასკვნითი დებულებები

მუხლი 45: უნივერსიტეტი სიმბოლოები

- უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი გერბი, რომელსაც იყენებს ოფიაცილურ დოკუმენტაციაზე დასატანად.
- მრგვალი ბეჭედი, წარწერით - შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203.
- ლოგო, რომელიც წარმოადგენს დაწესებულების ინდივუალურ სიმბოლოს და გამოიყენება სხვადასხვა სახის საინფორმაციო აქტივობებისას.

მუხლი 46: უნივერსიტეტის ოფიციალური შეტყობინებების დაფა

1. ოფიციალური შეტყობინებების დაფა უნდა იყოს გამორჩეული და განთავსებული ადვილად მისაწვდომ ადგილას.
2. უნივერსიტეტის წესდებით, ასევე შიდა რეგულაციით უზრუნველყოფილი წერილობითი მასალები უნდა იყოს გამოკრული ოფიციალური შეტყობინებების დაფაზე.
3. მასზე განთავსებულია:

   ა) აკადემიური სემესტრის დაწყების, დამთავრების, ცხრილის, გამოცდების შესახებ და ა.შ ინფორმაცია;

   ბ) საკვალიფიკაციო გამოცდების დღეები და ადგილი;

   გ) დისერტაციის დაცვის დღე და ადგილი;

დ) გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია;

ე) სხვა, აკადემიური საზოგადეობის წევრებისათვის, მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

4. ოფიციალური დაფის საინფორმაციო ტექსტები ასევე ვრცლდება ინტერნეტის მეშვეობით.

მუხლი 49: საპატიო პროფესორის წოდება

1. უნივერსიტეტში იმ პირთა დამსახურების აღიარებისთვის და მათ მიმართ მადლიერების გამოსახატად, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საუნივერსიტეტო განათლებისა და სამედიცინო მეცნიერებათა განვითარებაში, მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებაში და თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყეს უნივერსიტეტის პრესტიჟისა და კეთილდღეობის ზრდას, დაწესებულია საპატიო პროფესორის წოდების მინიჭების პროცედურა.
2. საპატიო პროფესორის წოდება შეიძლება მიენიჭოს, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები და რომელთაც გააჩნიათ პირადი დამსახურება უნივერსიტეტის წინაშე
3. საპატიო წოდების მინიჭების წესი და პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით

მუხლი 50: უნივერსიტეტის ჯილდო

1. უნივერსიტეტში დაწესებულია სამახსოვრო მედლით თანამშრომლების, სტუდენტების, სხვა პირების, ვინც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის, მეცნიერების, განათლების და აკადემიური თავისუფლების განვითარებას, დაჯილდოების ცერემონია.
2. უნივერსიტეტის სამახსოვრო მედალი შეიძლება, გაიცეს უნივერსიტეტის საიუბილეო საღამოზე ან/და მის გარეშე და გადასცემს დეკანი ან რექტორი ფაკულტეტის (ან რექტორის) საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ, უნივერსიტეტის სამახსოვრო მედლის გაცემის წესების თანახმად.

მუხლი 51: კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონია

1. უნივერსიტეტში სწავლის დასრულება აღინიშნება საზეიმო ღონისძიებით, რომლის დაგეგმვას, ორგანიზებას, განხორციელებას და ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი; კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულებას ულოცავენ უნივერსიტეტის რექტორი და დეკანი, გადაეცემათ დიპლომები. ღონისძიება ტარდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად და კურსადამთავრებულთა მიერ იდება სამედიცინო (ჰიპოკრატეს) ფიცი, რომლის ხელმოწერილი ვერსია ინახება უნივერსიტეტში.

2. კურსდამთავრებულები საზეიმო ღონისძიებაზე შემოსილნი არიან უნივერსიტეტის მიერ დამზადებული, დაწესებულების სიმბოლკით გაწყობილი, სპეციალური სამოსით.
3. საზეიმო ღონისძიების ორგანიზების წესი და პროცედურა წესრიგდება შიდა რეგულაციებით.

მუხლი 52: ინტერპრეტაციის წესები

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული დებულებები ინტერპრეტირდება დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნული პრინციპების საფუძველზე; საეჭვო შემთხვევები ინტერპრეტირდება მმართველი ჯგუფის მიერ.

დანართი 1

უნივერსიტეტების დიდი ქარტია

MAGNA CHARTA UNIVERSITATUM

ბოლონია, 1988 წლის 18 სექტემბერი

პრეამბულა

ევროპის უნივერსიტეტების, ქვემორე ხელისმომწერი, რექტორები შეიკრიბნენ ბოლონიაში, ევროგაერთიანების ქვეყნებს შორის საზღვრების გაუქმებამდე ოთხი წლით ადრე, ევროპის უძველესი უნივერსიტეტის ცხრაასი წლისთავის აღსანიშნავად; ევროპულ ერებს შორის შორსგამიზნული თანამშრომლობის იმედითა და რწმენით, რომ ადამიანები და სახელმწიფოები მუდმივცვალებად და მზარდ ინტერნაციონალურ საზოგადოებაში განსაკუთრებით გააცნობიერებენ უნივერსიტეტების როლს. ისინი მიიჩნევენ, რომ

1. ათასწლეულის მიჯნაზე კაცობრიობის მომავალი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ კულტურულ, სამეცნიერო და ტექნიკურ განვითარებაზე, რომელიც უნივერსიტეტების კულტურულ, სასწავლო და კვლევით ცენტრებში მიმდინარეობს;
2. უნივერსიტეტების დანიშნულება - გაავრცელოს ცოდნა ახალგაზრდა თაობებს შორის - დღეს მთელ საზოგადოებაზე უნდა გავრცელდეს; საზოგადოების კულტურული, სოციალური და ეკონომიკური მომავლი საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს უწყვეტი განათლების უზრუნველსაყოფად;
3. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობა ისეთი განათლებით, რომელიც მას ბუნებრივი გარემოსა და სიციცოხლის ჰარმონიის პატივისცემას ასწავლის.

ევროპის უნივერსიტეტების, ქვემორე ხელისმომწერი, რექტორები, ყველა სახელმწიფოსა და ერის წინაშე ვაცხადებთ იმ ფუნდამენტურ პრინცი პებს, რომლებიც ამიერიდან საფუძვლად დაედება უნივერსიტეტების საქმიანობას:

ფუნდამენტური პრინციპები

1. უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობისა და გეოგრაფიული პირობების გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ საზოგადოებებში, რომელიც ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით. არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან;

2. უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელი უნდა იყოს, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს;

3. კვლევისა და სწავლების თავისუფლება საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინცი პია. ამიტომ, მთავრობებმა და უნივერსიტეტებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ ამ ფუნდამენტური მოთხოვნის პატივისცემა.

4. უნივერსიტეტი გმობს შეუწყნარებლობას და ღიაა დიალოგისათვის; ის იდეალური ასპარეზია ისეთი მასწავლებლებისათვის, რომლებიც მზად არიან სხვას გაუზიარონ თავისი ცოდნა, განავითარონ იგი კვლევისა და ინოვაციების საშუალებით და გადასცენ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ამ ცოდნასთან ზიარების უფლება, სურვილი და უნარი;

5. უნივერსიტეტი არის ევროპული ჰუმანისტური ტრადიციების მეურვე. იგი მუდმივად მიისწრაფვის უნივერსალური ცოდნისაკენ. მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას უნივერსიტეტი სცილდება გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს და ადასტურებს სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშეცნობისა და ურთიერთგავლენის სასიცოცხლო აუცილებლობას.

განხორციელების საშუალებები

ზემოთ მოყვანილი პრინციპების გათვალისწინებით, ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა თანამედროვე პირობების შესაფერისი ეფექტური საშუალებების გამოყენება:

1. კვლევასა და სწავლებაში თავისუფლების დასაცავად, აღნიშნული თავისუფლების სარეალიზაციოდ აუცილებელი საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ერთობის ყველა წევრისათვის;

2. მასწავლებელთა მოზიდვა და მათი სტატუსის განსაზღვრა უნდა ექვემდებარებოდეს კვლევისა და სწავლების განუყოფლობის პრინციპს;

3. ყველა უნივერსიტეტმა - კერძო გარემოებების სათანადო გათვალისწინებით - უნდა უზრუნველყოს სტუდენტების თავისუფლებების დაცვა და მათ მიერ ისეთი გარემოთი სარგებლობა, რომელშიც შესაძლებელია კულტურისა და ცოდნის შეძენა;
4. უნივერსიტეტები - განსაკუთრებით ევროპაში - ინფორმაციისა და მონაცემების ურთიერთგაცვლასა და სწავლის გაუმჯობესებისათვის გახშირებულ ერთობლივ პროექტებს განიხილავენ, როგორც აუცილებელს ცოდნის შემდგომი განვითარებისათვის.

აქედან გამომდინარე, ისევე როგორც თავიანთი არსებობის ადრეულ ეტაპზე, უნივერსიტეტები ხელს უწყობენ სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას. ამავდროულად, უნივერსიტეტები ეკვივალენტური სტატუსის, წოდებების, გამოცდებისა (ეროვნული დი პლომებისადმი უნდობლობის გარეშე) და სტიპენდიების მინიჭების ზოგად პოლიტიკას მიიჩნევენ მნიშვნელოვან ფაქტორად დღევანდელ პირობებში თავიანთი მისიის განსახორციელებლად.

ქვემორე ხელისმომწერი რექტორები, მოქმედებენ რა თავიანთი უნივერსიტეტების სახელით, გააკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ ყველა სახელმწიფომ და დაინტერესებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თავისი პოლიტიკა ჩამოაყალიბოს ამ დიდი ქარტიის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტების თავისუფალ და ერთსულოვან სურვილს გამოხატავს.